# ეთნიკური უმცირესობები საქართველოში



# თბილისის თავისუფალი აკადემია
# FREE ACADEMY OF TBILISI

## N9 (19) მაისი - ივნისი 2022



### მთავარი რედაქტორი:

**სალომე პირველი**

თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი,

სამართლის მეცნიერებათა დოქტორი

### სარედაქციო საბჭო:

**მარინე კობალავა**

თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე – რექტორი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**მარიამ სიხარულიძე**

თბილისის თავისუფალი აკადემიის

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

**ნინი ჩაჩხიანი**

თბილისის თავისუფალი აკადემიის

ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი

### გრაფიკული დიზაინერი

სოფიკო ალფაიძე



პროექტი ხორციელდება თბილისის თავისუფალი აკადემიის

“ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის” მიერ

ISSN 2667 – 923X



© თბილისის თავისუფალი აკადემია

გამომცემლობა 2022

ეთნიკური უმცირესობა თავისი განსაზღვრებით წარმოადგენს ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არადომინირებულ ნაწილს, რომელიც უმრავლესობისაგან განსხვავდება თავისი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლებით და სურს შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ხშირად დისკრიმინაციის ქვეშ ექცევიან, რაც გამოიხატება იმაში, რომ ვერ იღებენ სათანადო განათლებას, საზოგადოებაში არ არიან სათანადოდ ინტეგრირებულნი, ხდება მათზე ბულინგი, რაც ძალიან ართულებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას.

ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უკავიათ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 16,2%-ს შეადგენენ. ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს საქართველოში (6,6%) აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, რომლებიც ქვემო ქართლში ცხოვრობენ. საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მეორე დიდ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ სომხები (5,7%), რომლებიც ჩასახლებულნი არიან სამცხე – ჯავახეთის რეგიონში.

მთავარი საკითხი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს ეხება საქართველოში არის განათლება. იმისთვის, რომ ეთნიკურმა საზოგადოებებმა შეძლონ ინტეგრირება საზოგადოებაში, ამისთვის უმთავრესია, რომ მათ ჰქონდეთ განათლების მიღების შესაძლებლობა. განათლების პრობლემების და ენის ბარიერის გამო ამ საზოგადოების წარმოამდგენლები დასაქმების და სწავლის შესაძლებლობებისთვის უფრო მეტად ბაქოს ან ერევანს (ან რუსეთს) მიმართავენ, ვიდრე საქართველოს, რაც ფართომასშტაბიან ემიგრაციას ქმნის.

განათლების მიღება მათთვის არის ახალი შესაძლებლობა დასაქმებისათვის, რათა გახდნენ ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

ქართული ენის არცოდნა ყოვლისმომცველი საკითხია. ვინაიდან ეთნიკურ უმცირესობათა უმრავლესობა მონოეთნიკურ უმცირესობათა დასახლებებში ცხოვრობს, ბავშვებისთვის დაწყებითი სკოლა წარმოადგენს სივრცეს, სადაც პირველად ხვდებიან ქართულ ენას. ექვსი წლის ასაკიდან ისინი იწყებენ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლას, რასაც შემდგომ კლასებში ემატება რამდენიმე სხვა ქართულენოვანი საგანი (ისტორია, გეოგრაფია და სოციალური მეცნიერებები). თუმცა, სკოლის პირველივე დღიდან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები უამრავ სირთულეებს აწყდებიან ერთ – ერთი უმთავრესი კი გახლავთ პრობლემა, რომ სახლში დამოუკიდებლად მეცადინეობისას, მშობლებს არ შეუძლიათ შვილების ქართულენოვან საგნებში დახმარება, ქართული ენის არცოდნის გამო, ასევე ხშირია პრობლემა მასწავლებლებთან მიმართებით, როდესაც არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელი ქართულ ენას თავისუფლად ვერ ფლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვები მარტონი რჩებიან სახელმძღვანელოებისა და რთული ტერმინოლოგიის პირისპირ.

ეთნიკური უმცირესობებისათვის გამოწვევაა სასწავლო პროცესზე დასწრება, რაც განაპირობებს ადრეულ ქორწინებას გოგონებში, ხოლო ბიჭების შემთხვევაში დამახასიათებელია საკლასო ოთახიდან სეზონურ სასოფლო – სამეურნეო სამუშაოზე გადართვა.

საქართველოში ბოლო წლებში აქტიურად დაიწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარება ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვისთვის და მათი მეტი ინტეგრაციისათის. მათ შორის გამოიცა წიგნები, დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც ეთიკური უმცირესობის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ იმ უმაღლესი სასწავლებლის ჩამონათვალს, სადაც ზოგად საგანმანათლებლო საფეხურიდან შეუძლიათ გააგრძელონ სწავლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათთვის განათლების მიღება მატერიალური თვალსაზრისით ხელმისაწვდომია და გადახდის მოქნილი სისტემაც კი აქვს დანერგილი სხვადასხვა სასწავლებელს, ამით იმის ხაზგასმა შეიძლება, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა წახალისებულია, როგორც სახელმწიფოს ისე კერძო უმაღლესი სასწავლებლის მხრიდან.

ეთნიკური უმცირესობეების წარმომადგენლები საქართველოს ისეთივე სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, როგორც სხვა დანარჩენი და არსებული განსხვავებულობების მიუხედავად, ისინიც აქტიურად უნდა იყვნენ აფილირებული საზოგადოებაში. საქართველო ამ კუთხით უფრო და უფრო მნიშვნელოვან შემხვედრ ნაბიჯებს დგამს, რაც დრო და დრო უფრო შეამცირებს იმ პრობლემებს, რომლებიც არსებობს დღეს.

# ისწავლე ქართული

**და იყავი საქართველოს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი!**

ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა
YOUNG LEADERS SCHOOL

# XXI საუკუნის პიროვნული და სოციალური კომპეტენციების ფორმირების პლატფორმა

www.Freeacademy.edu.ge
info@freeacademy.edu.ge

# თბილისის თავისუფალი აკადემია

## სერია "მომავლის ლიდერი"

თბილისის თავისუფალი აკადემიის
გამომცემლობა

0160, თბილისი, ჯურხა ნადირაძის 46

+995 322 369 160

+995 599 670 108